გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტით გათვალისწინებულია, ქ. თბილისში მარშალ გელოვანის №6-ში (საკადასტრო კოდი 01.10.10.022.084) მდებარე ადმინისტაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და მიმდბარე ეზოს კეთილმოწყობა.

საპროექტო ტერიტორია არის მოსაწესრიგებელი. პროექტით გათვალისწინებულია არსებული 2 სართულიანი ადმინისტრაციული შენობის და მის მომიჯნავედ მდებარე ორი ერთსართულიანი სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია. ადმინისტრაციული შენობა წარმოადგენს 2 სართულიან შენობას ორი შესასვლელით აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადის მხრიდან.

ადმინისტრაცულ შენობაზე მოწყობილი ბრტყელი გადახურვა კარგ მდგომარეობაშია. მისი კედლები და საძირკველიც კარგ მდგომარეობაშია.

გარედან ვიზუალური დათვალიერების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილიბა შენობა ნაგებობაზე დამატებულ იქნას კონსტრუქციული დეტალები, კერძოდ აღმოსავლეთის ფასადის მხრიდან აივნის ფორმის შეცვალა და აივანზე ახალი გადახურვის მოწყობა, რომელიც მთლიანობაში მოპირკეთდება ფუნდერმაქსის მასალით. არსებული ფანჯრების ღიობები ორივე სართულზე შეცვლილ იქნა ალუმინის ვიტრაჟით და პირველ სართულზე მოეწყო პანდუსი. ამის შედეგად ფასადმა შეიძინა მხატვრულ იერსახე. აევე მოთხოვნის მიხედვით სამხრეთ ფასადის მხრიდან კიბის უჯრედში მოეწყო ალუმინის ვიტრაჟი და შესასვლელი. შესასვლელის გადახურვა მოეწყო მსუბუქი კონსტრუქციული ელემენტებით, რომელიც ერწყმის მთლიანი შენობის იერსახეს.

ფასადის კედლები შეიღებება მაღალი ხარისხის სილიკონის თეთრი საღებავით

ჩრდილოეთ ფასადის მხარეს იცვლება ფანჯრების ღიობების ზომები და უკეთდება 100X150 მმ-იანი მუბუქი ბეტონის კანტი.

ადმინისტრაციულ შენობასთან მიბმულ შენობას, რომელიც დავალების მიხედვით უნდა გადაკეთდეს სასაწყობე ნაგებობად საჭიროა ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია: ჩატარდეს სახურავის გასუფთავების სამუშაოები და მოიხსნას არსებული მიწის და გამწვანების ფენილი. მოეწყოს ახალი ბრტყელი გადახურვა. საწყობი საჭიროებს სასაწყობე ლითონის კარებების მოწყობას არსებულ ღიობებში და ფასადები შეილესოს დეკორატიულად და შეიღებოს სილიკონის პიგმენტირებული საღებავით.

ტერიტორიაზე არსებობს მესამე ნაგებობა, რომელიც დავალების მიხედვით საჭიროებს რეკონსტრუქციას, სადაც განთავსდება საქვაბე და საწყობი. ნაგებობის ფასადებზე დამატებულ იქნა მცირე კონსტრუქციული დეტალები და ჩასმული იქმა ლითონის კარები. ფასადები შეილესოს დეკორატიულად და შეიღებოს სილიკონის პიგმენტირებული საღებავით.

ადმინისტრაციული შენობის აღმოსავლეთის ფასადის მხრიდან მოწყობილ იქნა ავტოსაგომი.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საწყობთან სატვირთო ავტომომანქანების მისასვლელი ახალი გზის საფარის მოწყობა, ასევე მოწყობილია სარეკრეაციო ზონები.